ეჯაილ სისტემის ეფექტურობა, როგორც ბიზნეს პროცესების გამარტივების გზა საქართველოში

რუსუდან გაბრიაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ხიშტოვანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

რუსუდან გაბრიაძე

--.--.2022

აბსტრაქტი

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ეჯაილ მეთოდის ეფექტურობა - ინოვაციური მიდგომის უპირატესობების გათვალისწინებით, რომელიც ბიზნეს პროცესებს უბიძგებს მეტი სიმარტივისკენ. დღევანდელ სამყაროში, სადაც სწრაფად მზარდი ტექნოლოგიების ფონზე პროცესები მუდმივად განიცდის ცვლილებებს და ვითარდება, არც საბანკო სექტორი არის გამონაკლისი. სწორედ ისინი არიან ინოვაციების ცენტრში, არაერთი ქართული ბანკი იზიარებს წარმოდგენილ ეჯაილ ფილოსოფიას, რომელიც 21 საუკუნეში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მართვის მეთოდად გვევლინება. ეჯაილის დროს მართვის პროცესები მიმდინარეობს ჰორიზონტალური წესით, რაც გულისხმობს იმას, რომ სამუშაო პროცესში არ არსებობს რთული სტრუქტურული ბარიერები გადაწყვეტილების მიღებისას. ეჯაილის მოქნილი მიდგომები ცხადად პასუხობს დღევანდელ გამოწვევებს და ამცირებს პროდუქტის თუ სერვისის დანერგვისთვის საჭირო პროექტების რისკს. ერთი შეხედვით, მისი კონცეპტი მარტივ ეტაპებს აერთიანებს, თუმცა წარმატების მისაღწევად და ეფექტური შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია სწორი გადაწყვეტილებების მიღება.

საკვლევი მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში გაანალიზებულია ეჯაილ მიდგომის უპირატესობები და ნაკლოვანებები. საუბარია ფილოსოფიის მთავარ გამოწვევებზე, რომლებსაც ყოველდღიურად ეჭიდებიან ქართული საბანკო სექტორის წარმომადგენლები.

თვისობრივი კვლევის ფარგლებში, გამოყენებული ინსტრუმენტის დახმარებით, საშუალება მოგვეცა შეგვემოწმებინა ჰიპოთეზის ნამდვილობა, რომ ეჯაილ მეთოდოლოგია არ აუმჯობესებს საბანკო პროცესების ეფექტურობას. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემოწმდა საკვლევი ჰიპოთეზა, ხაზი გაესვა მთავარ მიგნებებს და გაიცა რეკომენდაციები.

კვლევამ აჩვენა, რომ საბანკო სექტორის მხრიდან გადაიდგა არაერთი საინტერესო ნაბიჯი ეჯაილ ფილოსოფიის დანერგვის პროცესში. კვლევის ფარგლებში გამოყოფილია ეჯაილ

ფილოსოფიის სამი ძირითადი მახასიათებელი: მსუბუქად გამოსაყენებელი, მარტივად გასაგები და აღსაქმელი, რთული დაუფლების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია ჩართული მხარეების ერთი მიზნის ქვეშ გაერთიანება და მუდმივი ინტერაქცია, რადგან მიღწეულ იქნას დანერგილი მეთოდოლოგიის ეფექტურობა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეჯაილ მეთოდოლოოგია, ინოვაციური მიდგომები, საბანკო სექტორი, საქართველო

Abstract

The presented master's project discusses the effectiveness of the Agile method, taking into account the advantages of the innovative approach, which pushes business processes to greater simplicity. In today's world, where processes are constantly changing and improving due to rapidly growing technologies, the banking sector is no exception. This sector is in the center of innovation, many Georgian banks share Agile philosophy, which is one of the most popular management approaches in the 21st century. In Agile, management processes are carried out horizontally, which means that there are no complex structural barriers in decision-making process. Agile's flexible approaches clearly respond to today's challenges and reduce the risk of project failure. At first sight, its concept combines simple steps, however, in order to achieve success and achieve effective results, it is important to make the right decisions.

Based on the research's objective, given information is about the advantages and disadvantages of the Agile approach. It is about the main challenges of philosophy, which is presented by Georgian banking sector's daily routine.

The responses of the in-depth interviews conducted with the respondents within the framework of the qualitative research, and the obtained electronic and printed informational sources allowed us to check the validity of the hypothesis, in particular, Agile transformation does not improve the current processes in the public sector. Based on the results of the study, the research hypothesis was not confirmed, the main findings were highlighted and recommendations were given.

The research showed that a number of interesting steps were taken by the banking sector in the process of setup the Agile philosophy. Within the framework of the study, three main characteristics of the Agile philosophy are distinguished: 1. easy to use 2. uncomplicated to understand and perceive 3. difficult to master. It is crucial to unite the involved parties under one goal and to constantly interact, in order to effectiveness of the implemented methodology be achieved.

Main keywords: Agile methodology, innovative approaches, banking sector Georgia.